

POS ტერმინალის VeriFone Vx680 გამოყენების ინსტრუქცია

ტერმინალის ინტერფეისი



პოს-ტერმინალის კლავიატურის მნიშვნელობები:

- „#“ ღილაკი - პოს-ტერმინალის მენიუს გამოძახება;
- ყვითელი ღილაკი - ოპერაციის კორექტირება;
- წითელი ღილაკი - ოპერაციის უარყოფა;
- მენიუს მოდრომის ღილაკებია - „*“ და „#“

1. პოს-ტერმინალის ჩართვა


პოს-ტერმინალი ირთვება მზვანე ღილაკით, რის შემდეგაც პოს-ტერმინალის ეკრანზე გამოდის შეტყობინება „მალახლა“ (იხ.სურ. 1).

სურ. 1



2. გადახდის ოპერაცია

გადახდის ოპერაციის შესრულებისთვის პოს-ტერმინალზე მწვანე ღილაკის დაჭერით გამოვა მენიუ „თანხა“ (იხ. სურ.2), სასურველი თანხის მითითების და პოს-ტერმინალის მწვანე ღილაკზე დაჭერით ეკრანზე გამოვა შეტყობინება „შეიყვანეთ ბარათი“ (იხ. სურ.3).



სურ. 2



სურ. 3

უკონტაქტო ბარათის შემთხვევაში, ბარათს დადება ხდება პოს-ტერმინალის ეკრანზე (იხ. სურ. 4)

სურ. 4



მაგნიტურ ზოლიან ბარათის შემთხვევაში, პოს-ტერმინალში ბარათი განთავსდება მაგნიტური ზოლის წამკითხავ ქრილში, მაგნიტური ზოლით ქვევით (იხ.სურ. 5)

სურ. 5




ჩიპური ბარათის შემთხვევაში, ბარათი პოს-ტერმინალში განთავსდება ჩიპით წინ ჩიპური ბარათის წამკითხავ ქრილში (იხ. სურ. 6)

სურ. 6



პინ კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს პინ კოდი. ოპერაციის დადასტურება სრულდება „მწვანე“ ლილაკით. წარმატებული ოპერაციის შემთხვევაში ჩეკი იბეჭდება ავტომატურად (იხ.სურ.7). ჩეკის პირველი პირის ბეჭდვის შემდეგ პოს-ტერმინალის მწვანე ლილაკზე დაჭერით იბეჭდება ჩეკის მეორე პირი.

სურ. 7



ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ჩეკზე აისახება წარწერა „დადასტურებულია“ პასუხის კოდი 000 (იხ. სურ. 8)


სურ. 8



3. ტრანზაქციის გაუქმება


შესრულებული გადახდის ოპერაციის გასაუქმებლად, პოს-ტერმინალის ლილაკზე "1" დაჭერით პოს-ტერმინალის ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება „გაუქმება“ (იხ. სურ. 9).

სურ. 9



მწვანე ღილაკზე დაჭერით პოს-ტერმინალის ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება "შეიყვანეთ ჩაქის ნომერი" (იხ.სურ.10). გასაუქმებელი გადახდის ჩეკის ნომრის (იხ. სურ.11) შეყვანის და მწვანე ღილაკით დადასტურების შემდეგ, ტარდება ბარათი(გატარება სრულდება ბარათის ტიპის მიხედვით ზემოთ აღწერილი წესის შესაბამისად (იხ.სურ. 4,5,6)). პოს-ტერმინალის ეკრანზე გამოვა გასაუქმებელი თანხის დადასტურების მოთხოვნის შეტყობინება. გასაუქმებელი თანხის მწვანე ღილაკით დადასტურების შემდეგ, დაიბეჭდება ოპერაციის გაუქმების დადასტურების ჩეკი წარწერით „დადასტურებულია“ პასუხის კოდი 000.

ჩეკის პირველი პირის ბეჭდვის შემდეგ მწვანე ღილაკზე დაჭერით იბეჭდება ჩეკის მეორე პირი.



სურ. 10



სურ. 11


4. ჩეკის ასლის ბეჭდვა

ჩეკის ასლის დასაბეჭდად, პოს-ტერმინალის # ღილაკზე დაჭერით და მენიუში შესვლის შემდეგ, ირჩევთ ქვემენიუს „ჩეკის ასლი“. პოს-ტერმინალის მწვანე ღილაკზე დაჭერით:


- ღილაკი 1 „ბოლო ჩეკი“ დაჭერით იბეჭდება ბოლო ჩეკის ასლი;
- ღილაკი 2 „ჩეკის ნომრის მიხედვით“ – ჩეკის ნომრის შეყვანის და პოს-ტერმინალის მწვანე ღილაკზე დადასტურებით იბეჭდება შესაბამისი ჩეკის ასლი;

5. პოს-ტერმინალზე დღის დახურვა

პოს-ტერმინალის # ღილაკზე დაჭერით იხსნება მენიუ (იხ. სურ.12.) სადაც შესაბამისი ღილაკით ირჩევთ ქვემენიუს „სერვისი“, გახსნილ ფანჯარაში (იხ.სურ.13) ჩამოთვლილი სერვისებიდან პოს-ტერმინალის ღილაკით „1“ ირჩევთ ოპერაციას „დღის დახურვა“ და ადასტურებთ მწვანე ღილაკით, რის შემდეგაც სრულდება დღის დახურვის ოპერაცია.



სურ. 12



სურ. 13